ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
(საკონსულტაციო მომსახურება – ფირმების შერჩევა)

საქართველო
მსოფლიო ბანკი-SIDA-ს სატრასტო ფონდი - (TF014912)
საქართველოს ჩამდინარი წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი (P145040)

ხელშეკრულების სახელწოდება: თელავის ჩამდინარი წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება

ტექნიკური მახასიათებლების აღწერა და სპეციფიკაციების მომზადება წყალტუბოსა და თელავის ჩამდინარი წყლების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციისთვის
პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი SIDA/SWMP/CS/CQS/01-2014

საქართველომ მოითხოვა დაფინანსება შვედეთის განვითარების საერთაშორისო სააგენტოსაგან ჩამდინარი წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ თანხის ნაწილი გამოიყენოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

საკონსულტაციო მომსახურება (“მომსახურება”) მოიცავს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებასა და ტექნიკური მახასიათებლების აღწერასა და მომზადებას წყალტუბოსა და თელავის ჩამდინარი წყლების გამწმენდი ნაგებობებისთვის. კონსულტანტი მჭიდროდ ითანამშრომლებს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან. სამუშაოების მოცულობა შემოიფარგლება ჩამდინარი წყლების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციით, დამაკავშირებელი წერტილებიდან - არსებული საკანალიზაციო ქსელის ჩათვლით, რაც განსაზღვრულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტში.

დავალების საერთო მიზნებს წარმოადგენს:

1. წყალტუბოს წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტირების, მიწოდებისა და მონტაჟის ხელშეკრულების ტექნიკური აღწერილობის მომზადება და საბოლოო დასტურის მიღების უზრუნველყოფა, *დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და ტექნიკური მახასიათებლების* მომზადება - მგფ-ის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტის შესაბამისად. წყალგამწმენდი ნაგებობის ტექნიკური გადაწყვეტები და დამუშავებული კანალიზაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს *ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტში* მოცემულ ზოგად მოთხოვნებსა და სტრატეგიას (სეურეკა, 2013 წლის ივნისი).

   არსებული ობიექტის შესაბამისობის დადასტურება აუცილებელ მიზანს წარმოადგენს გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ოპერირებისთვის.

2. თელავის წყალგამწმენდი ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება სტრატეგიის შემუშავების, წყალგამწმენდი ნაგებობის ტექნიკურად განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთებისა და დამუშავებული საკანალიზაციო წყლის ხარისხის უზრუნველყოფისათვის, რომელიც მოიცავს დაბალი OREX–ის ტიპის წყალგამწმენდი ნაგებობისთვის გადამცემ მაგისტრალს და არსებულ საკანალიზაციო ქსელთან დაერთების კვანძებს.

3. თელავის წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტირების, მიწოდებისა და მონტაჟის ხელშეკრულების ტექნიკური აღწერილობისა და *დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და ტექნიკური მახასიათებლების* მომზადება - მგფ-ის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტის შესაბამისად.

დავალების სავარაუდოდ დასრულდება მომსახურების დაწყებიდან 5 თვეში.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (“კონსულტანტებს”), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოხსენებულ მომსახურებაზე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთმოყვანილით: საპროექტო საქმიანობის ანალოგიური გამოცდილება, წამყვანი სპეციალისტების რესურსები, კორპორატიული პროფილი. საბოლოო სიაში მოსახვედრ შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს:

- ბოლო 7 წლის განმავლობაში (ე.ი. 2007 წლის იანვრიდან) განხორციელებული ანალოგიური საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტები;
- ზოგადი გამოცდილება.

<u>შენიშვნა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უფლებას იტოვებს გადააძოწმოს წარმოდგენილი რეკომენდაციები და შეფასების მიზნებისათვის გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია.</u>

დაინტერესებული კონსულტანტების ყურადღება უნდა გამახვილდეს მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების: *კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში* (2011 წლის იანვრის გამოცემა) პარაგრაფზე 1.9. ("სახელმძღვანელო პრინციპები კონსულტანტებისათვის"), სადაც მითითებულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით.

თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისათვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს ქვე-კონსულტანტობის ან ერთობლივის საწარმოს ფორმა და განაცხადში ნათლად უნდა იქნას მითითებული გაერთიანების ტიპი. კონსულტანტის კორპორატიული გამოცდილების შეფასებისას გათვალისწინებული არ იქნება ქვე-კონსულტანტების გამოცდილება).
ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება ფორმა №1-ით უნდა იქნას წარმოდგენილი, რომელიც მგფ-ს ვებგვერდზე იქნება ატვირთული: http://mdf.org.ge/wp-content/uploads/2014/02/Form-for-References.pdf

კონსულტანტს რეკომენდაციას ვუწევთ თავისი ინტერესის გამოხატვის წინადადება 30 გვერდიანი ფორმატით წარმოადგინოს. კომპანიის ბროშურები შესაძლოა თანდართული იქნას დანართის სახით, და მასზე არ გავრცელდება 30-გვერდიანი ლიმიტი.

კონსულტანტი შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული (CQS) შერჩევის მეთოდით, *კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში* (2011 წლის იანვრის გამოცემა) III განყოფილებაში მოცემული მეთოდის მიხედვით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია მგფ-ს შესყიდვების სამმართველოში, ტელეფონის ნომერი: +99532 2437001, შიდა ნომერი 409, ქ-ნი ნატა პეიტრიშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.

განცხადება ინტერესის გამოხატვაზე მოწოდებულ უნდა იქნას წერილობით ქვემოთმოყვანილ მისამართზე (პირადად, ელ-ფოსტის, ფაქსის ან საკურიერო ფოსტის მეშვეობით) არაუგვიანეს **2014 წლის 14 მარტის 16:00 საათისა.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილი, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +99532 2437001 ან 02/03/04
ფაქსი: (+995-32) 2437077
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge